პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 4 ივნისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 123 (821) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## რევოლიუციონური კანონიერების გატარებისათვის.

ამ უკანასკნელ ხანებში ხშირად იწერება წერილები გაზეთების ფურცლებზე ჩვენი სოფლის პირ-ვარამზე, რესპუბლიკის ამა თუ იმ მაზრაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებებზე და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეხუთე წელში საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეში კიდევ მოიძებნება, ჩვენს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში, ისეთი პირები, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ბოროტად იყენებენ თავიანთ თანამდებობას.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის მთავარი ცენტრი გადატანილია სოფლად.

ბოროტ-მომქმედთა უმრავლესობას შეადგენენ უმეტესად ადგ. ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ამ თანამდებობაზე მოხვდენ სხვა და სხვა საშუალებებით და რომლებიც თავიანთი უხეში მოპყრობით და მრავალი ბოროტ-მოქმედებებით სცემენ მუშებისა და გლეხების თვალში საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს.

მათი ბოროტ-მოქმედება დღემდე გამოუმჟღავნებელი რჩებოდა და ამით ბოროტ-მომქმედნი თავისუფლად გრძნობდენ თავს.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონურ კანონებს ვერ ასცდენ ხალხის შემაწუხებელნი.

რა აღმოაჩინეს მაზრებისა და სოფლების რევიზიის დროს საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენლებმა?

დუშეთის მაზრის სოფლებში გლეხს მიცვალებულის დასამარხი მოწმობების აღება უჯდება 25—30 მან., ერთ-ერთ თემში გლეხკომი არავითარ ყურადღებას არ აქცევს გლეხების განცხადებებს მიწების შესახებ, თიანეთის კოოპერატივი პირდაპირ სპეკულიაციას ეწევა და განუსაზღვრელ პროცენტებს ადებს იგი, მოტანილ საქონელზე.

ამავე მაზრაში გლეხკომს გაუყიდია მიწა, აღმასკომს ჩამოურთმევია უღარიბესი გლეხებისათვის სახლები და სხ. ერთი სიტყვით [აღნიშნულ მაზრაში მთელ რიგ ბოროტ-მოქმედებებს ჰქონია ადგილი, რომელთაც არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სათანადო ორგანოების მიერ.

შესაძლებელია მსგავს მოვლენებს ადგილი ექნეს სხვა მაზრებშიდაც.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზიის მიერ აღმოჩენილ იქნა უფრო საყურადღებო ბოროტ-მოქმედებები ახალციხის სატყეო კომიტეტში, საქართველოს სახალხო ბანკის ბათომის განყოფილებაში და საქართველოს მიწად-მოქმედების კომისარიატის სხვა და სხვა განყოფილებებში.

ბოროტ-მომქმედნი უკვე პასუხის გებაში არიან მიცემული სათანადო ორგანოების მიერ და მათი გასამართლება მოხდება თვით ბოროტ-მოქმედების ადგილებზე.

საბჭოთა ხელისუფლება არ ფარავს ამ ბოროტ-მოქმედებას, ააშკარავებს მას ყველას დასანახავად და სათანადო პასუხს მოსთხოვს საჯაროთ ყველა ბოროტ-მომქმედს. ის არავის არ აპატიებს ხალხის ქონების გაფლანგვას, მუშებისა და გლეხებისადმი არა კანონიერად მოპყრობას და ყოველგვარ ბოროტ-მოქმედების ჩადენას.

ჩვენი ვალია, ყველ მხრივ დავეხმაროთ ხელისუფლებას ბოროტ-მოქმედებების საბოლოო აღმოსაფხვრელად და რევოლიუციონური კანონიერების გასატარებლად სოფლად.

## ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიმსმა განაცხადა თავის დროს, რომ არც ერთი უცხოელი კომუნისტი არ იქნება დაშვებული ბრიტანეთის კომპარტიის ყრილობაზეო.

ორშაბათს, ყრილობის სხდომის დროს, დაკეტილ იქნა დარბაზის კარები; მაგრამ მიუხედავად ასეთი ზომებისა ტრიბუნაზე გამოჩნდა გერმანელი კომუნისტი შტეკერი და საფრანგეთის მუშა ქალთა წარმომადგენელი მარსელ ლებილი, რომლებსაც მხურვალე ტაშით შეხვდენ.

შტეკერმა განაცხადა, რომ თუ ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ ასეთი სუსტი ზომებით ის შეაჩერებს ბრიტანეთის რევოლიუციის წინსვლას ეს გულუბრყვილობაა. სხვა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატის განშორების ცდები ჩინური კედლებით კიდევ უფრო გააძლიერებს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას.

მარსელ ლებილმა სასტიკად გააკრიტიკა ჩემბერლენის პოლიტიკა და აღნიშნა, რომ ჩემბერლენისა და ერიოს შეხვედრის შემდეგ საფრანგეთში გაძლიერებულ იქნა რეპრესიები მუშების წინააღმდეგ. სიტყვები გადათარგმნილ იქნა ინგლისურ ენაზე, რის შემდეგ „ორივე ორატორი „სადღაც გაჰქრა.

დარბაზის კარები დაკეტილი იყო საათნახევრის განმავლობაში.

გერმანიის კომუნისტ შტეკერის გამოსვლამ ტრიბუნაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან შენობა გარშემორტყმულია საიდუმლო აგენტებით და უცხოელთა სასტუმროები პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე თუ როგორ მოხვდა ის ყრილობის დარბაზში,-შტეკერმა განაცხადა ხუმრობით: „რამოდენიმე წლის წინად კომინტერნმა გაითვალისწინა ეს შემთხვევა და ამ ხნის განმავლობაში გამოიყვანა გვირაბი ლამანშის სრუტის ქვეშ და მეც ამ გვირაბით მოვედი“-ო.

შტეკერისა და ლებლის მისალმების მოსმენის შემდეგ თავმჯდომარემ მაკ მანუსმა განაცხადა, რომ უცხოელ დელეგატების აქ შემოსვლის მიზეზი არის არა ყრილობა, არამედ ბრიტანეთის მთავრობა. მან განაცხადა, რომ პოლიციას სურდა სასტუმროების გაჩხრეკა, სადაც იმყოფებოდა დელეგატები, მაგრამ ეს ცდები ვერ იქნა სისრულეში მოყვანილიო.

# ახალი რადიო-ამბები

## ინცინდენტი მატაისთან ამოწურულია.

ავსტრიის კანცლერის სეკრეტარიატმა 2 ივნისს დაუგზავნა ვენაში მყოფ უცხოეთის წარმომადგენლებს შემდეგი ცირკულიარული ცნობა:

„საგარეო საქმეთა მინისტრის სეკრეტარიატი გიგზავნით განცხადებას, რომლისგანაც სჩანს, რომ მინისტრ მატაის— როცა ის ლაპარაკობდა ვითომდა ვენაში არსებულ კომუნისტურ ცენტრის შესახებ,—მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ გამონაკლისი თეორიული შესაძლებლობა საბჭოთა აპარატის გამოყენებისა კომინტერნის პროპაგანდის მიზნით, ვინაიდან არსებითად მსგავს ეჭვებს არ ჰქონია ადგილი“-ო.

ამ რიგად ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წაიღო უკან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა რწმუნებულმა კაციუბინსკიმ გაგზავნა ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა ამოწურულად სთვლის ინცინდენტს.

## მღელვარება შანხაიში.

### დემონსტრაციები და მიტინგები.

**ჩინეთის მოსახლეობამ ხმა აღიმაღლა უცხოელ ჯალათების წინააღმდეგ.**

31 მაისს შანხაიში მოხდა დემონსტრაციები და მასიური მიტინგები, რომლებზედაც სტუდენტები მოუწოდებდენ სახალხო მასებს აჯანყებისაკენ „უცხოელ იმპერიალისტ-მკვლელთა“ წინააღმდეგ. დემონსტრაციის დროს 600 მეტი კაცი დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ უცხოეთის უბნების ციხეებში ადგილების უქონლობის გამო დაპატიმრებულთა ერთი ნაწილი გათავისუფლებულ იქნა.

## გაფიცულთა მოთხოვნილება.

შანხაიში, ჩინეთის სავაჭრო პალატის შენობის წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც გამოდიოდენ უცხოეთის ჯარებთან შეტაკების დროს დაჭრილი იაპონიის ქარხნების მუშები და სტუდენტები. ერთი დაჭრილი ორატორი ლაპარაკის დროს დაეცა და გარდაიცვალა. მიტინგზე გამოტანილ რეზოლიუციებში მოითხოვენ დაპატიმრებულ მუშათა და სტუდენტების გათავისუფლებას, კრების გაფიცვების და კავშირების თავისუფლებას, უცხოელ ჯარების გაყვანას შანხაიდან, უცხოეთის პოლიციის გაშვებას და სხვა.

## ესპანეთი აძლიერებს თავის ჯარებს მაროკოში.



დე-რივერა.

ესპანეთის დიქტატორმა დე რივერამ განაცხადა, რომ ის სცდილობს ბოლო მოუღოს მაროკოს აჯანყებას. მან იმედი გამოსთქვა, რომ ესპანეთი მალე ჩაიგდებს ხელში მაროკოს ყველა განაპირა ადგილებს. ამ განცხადებიდან აშკარაა, რომ განზრახულია ესპანეთის ახალი არმიის გადაყვანა მაროკოში, მიუხედავად იმისა, ხმებს ამის შესახებ წინასწარ აბათილებენ.

## დემონსტრაციები ვენაში.

**დემონსტრაციაზე დაიჭრა დიდძალი ხალხი.—დაპატიმრებულ იქნა 250 კომუნისტი.**

ავსტრიის არმიის ძველ რევოლიუციონერთა დღესასწაულზე, მიუხედავად აკრძალვისა, ქალაქ ლინცაში თავი მოიყარა დიდძალმა კომუნისტურმა ახალგაზრდობამ და ცდილობდენ დემონსტრაციის გამართვას.

მოხდა სერიოზული შეტაკებები პოლიციასთან, რომელიც მოქმედებდა ცივი იარაღით. დიდძალი ხალხი დაიჭრა ორივეს მხრივ.

პოლიციამ დააპატიმრა 250 კომუნისტი. ამათგან გაათავისუფლეს 180 კაცი, მაგრამ ესენი გაგზავნილ იქნენ ვენაში იძულებითი სამუშაოზე.

## „კომუნისტების ბრალია“

იაპონიის ჟურნალისტებთან საუბარში იაპონიის რწმუნებულმა ჩინეთში იოშიზავამ განაცხადა, რომ შანხაიში და ცინდაოში არეულობის მიზეზი კომუნისტებია და სტუდენტები, რომლებიც მოითხოვენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სხვას, იმყოფებიან კომუნისტური იდეის ზეგავლენის ქვეშ.

## სისხლის ღვრა მაროკოში.

როგორც გაზეთის კორესპონდენტებისა და ჯარის კაცების წერილებიდან სჩანს, მაროკოში ბრძოლამ დიდი ხალხი იმსხვერპლა.

„იუმანიტე“ იუწყება, რომ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში მაროკოში გაგზავნილი იქნა 25.000 ჯარ.-კაცი.

## დაპატიმრებანი მარსელში.

მარსელში (საფრანგეთში) პოლიციამ მოახდინა მრავალი ჩხრეკა და დაპატიმრება, რომლის დროსაც თითქოს აღმოუჩენიათ ანტიმილიტარისტული მოწოდებები, რომლებიც უნდა გავრცელებულიყო მაროკოში მებრძოლ საფრანგეთის ჯარებში.

## ახალი შეტევა მუშათა კლასზე.

**მეპატრონეები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის შემცირებას.**

რურის ოლქის ლითონის სამრეწველოების მეპატრონეები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის შემცირებას 1-ლი ივნისიდან. ტისსენის სამრეწველოებმა დაადგინეს დაითხოვონ 3.000 სამთო-მადნო მუშა შემდეგ თვემდი. დათხოვნის მიზეზად ისინი ასახელებენ დამზადებულ საქონელზე მოთხოვნილების შემცირებას.

# ამხ. რიკოვი საკოოპერაციო აღმშენებლობის შესახებ.

30 მაისს სრულიად საკავშირო საკოოპერაციო—მრეწველობის რწმუნებულთა კრება-



ამხ. რიკოვი.

ზე, ამხ. რიკოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა:

## საკოოპერაციო კალაპოტში.

საბჭოთა კავშირის სამოქმედო პროგრამაში საკოოპერაციო აღმშენებლობას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. გლეხობა ინტენსიურად შეუდგა თავის მეურნეობის გაძლიერებას. საგლეხო მეურნეობაში დაგროვილ ნაყოფს ჩვენ უნდა მივსცეთ ისეთი კალაპოტი, რომელიც უზრუნველყოფდეს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას.

მოსპობილ უნდა იქნას საქონლის კრიზისი.

პირველ ყოვლისა კუსტარულ—მრეწველობის კოოპერაციამ ხელი უნდა შეუწყოს საქონლის სიმცირის მოსპობას. ბაზრის გავსების მიზნით საჭირო საქონლით, აგებულ უნდა იქნას ახალი ფაბრიკები, ხოლო ამისთვის კი საჭიროა წლები. მანამ კი ბაზარი უნდა დააკმაყოფილოს წვრილმა მრეწველობამ და საზღვარ გარეთიდან შემოტანილ დამზადილ საქონელმა. წვრილ კუსტარული მრეწველობისა და სამრეწველო კოოპერაციის საწარმოო შესაძლებლობანი გამოყენებულ უნდა იქნას მთლიანად საქონლის სიმცირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

## ბრძოლა გლეხთა უმუშევრობის წინააღმდეგ.

მეორეს მხრივ კუსტარულ—სარეწავო კოოპერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ მას შეუძლია მისცეს გლეხობას სამუშაო, როცა მას (გლეხობას) თავისუფალი დრო ექნება.

## როგორ უნდა დავძლიოთ „კულაკებს".

გლეხური ბურჟუაზიის გაძლიერების წინააღმდეგ საჭირო ბრძოლა არა ადმინისტრატიული მეთოდებით, არამედ სამეურნეო კონკურენციით ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საწყისის გაძლიერებით

დღეს ხშირად შეხვდები გუთანზე მომუშავე გლეხს, რომელიც გატაცებულია კოოპერაციით. გლეხები მონდომებული არიან შექმნან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. ასეთი გატაცებული კოოპერატორები იმყოფებიან აგრეთვე მომხმარებელი კოოპერაციის სფეროშიაც.

მაგრამ მე არ შევხვედრივარ ღარიბ გლეხს, რომელიც გატაცებული ყოფილიყოს კუსტარულ-სარეწავო კოოპერაციით. სანამ გლეხობაში არ შეიქმნება ამ მხრივ მასიური მოძრაობა, მანამ გაგრძელდება ყველაფერი ის, რასაც ჩვენ განვიცდიდით უკანასკნელ წლების განმავლობაში.

## პირველ რიგში.

ჩემის აზრით კუსტარულ-სარეწავო კოოპერაციის მომუშავეებს ჩვენ უნდა წარვუდგინოთ შემდეგი მოთხოვნილებანი: ხელი უნდა შეუწყონ კოოპერაციული მოძრაობის გაძლიერებას და გამოჰყონ ძირაფენებიდან აქტიური კოოპერატორი-გლეხები; ზედმიწევნით უნდა შეიმუშაონ სამუშაო გეგმა უახლოეს დროისთვის. ეს გეგმა შეფარდებულ უნდა იქნას ბაზრის მოთხოვნილებასთან.

კუსტარები განირჩევიან გლეხობისაგან იმით, რომ ისინი უფრო ახლოს სდგანან ქალაქთან. კუსტარულ-სარეწავო კოოპერაცია უფრო ძლიერ იზიდავს გლეხობას, ვიდრე მომხმარებელი კოოპერაცია.

ამ სფეროში მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილებანი ჰქმნიან საჭირო პირობებს კუსტარულ-სარეწავო კოოპერაციის წარმატებით განვითარებისათვის.

# საფრანგეთში მყოფ საბჭოთა კავშირის მოქალაქე სტუდენტთა კონფერენცია.

საფრანგეთში შესდგა საბჭოთა კავშირის მოქალაქე სტუდენტების პირველი კონფერენცია. კონფერენცია მხურვალე სალამს უგზავნის საბჭოთა კავშირის წითელ სტუდენტობას.

# არმიის და ფლოტის სანიტსაგანმანათლებლო მუშაკთა თათბირი.

2 ივნისს მოსკოვში გაიხსნა წითელი არმიისა და ფლოტის სანიტსაგანმანათლებლო მუშაკთა თათბირი.

# სამხედრო ქიმია.

## სამხედრო- ქიმიური ნედლი მასალა საქართველოში.

### ღველფი.

საქართველოს ბევრ ადგილებში მრავალი საუკუნეების წინად ადგილი ჰქონდა ვულკანიურ მოქმედებას, რომლის დროს მიწის ზედაპირზე ამოდიოდა გამდნარი ღველფი, ე. ი. სხვა და სხვა გამდნარი მინერალური ნივთიერებანი. ღველფი მეტად მნიშვნელოვანი მასალაა სხვა და სხვა ქიმიური აპარატების დასამზადებლად. ეს ღველფი დიდძალი რაოდენობით და მეტად კარგი ხარისხის მოიპოვება დუშეთის მაზრაში და სხვა ადგილებში.

ასეთი ღველფი საშუალებას იძლევა აგებულ იქნას აპარატები სიმჟავეების, ამაფეთქებელ და სხვა ნივთიერებათა დასამზადებლად. ის შეიძლება გატანილ იქნას საზღვარ გარედაც და მაშასადამე შემოსავლის წყაროც გახდეს.

### სპილენძი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან (როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით) ნედლ მასალად საქართველოს ტეხნიკისა და ქიმიურ მრეწველობისათვის უნდა ჩაითვალოს სპილენძის მადანი.

საქართველო სპილენძის მადნით მეტად მდიდარია (ბორჩალოს მაზრაში, ბათუმის ოლქში და სხვა) გარდა ამ მადნეულიდან ჩამოსხმულ წმინდა ლითონ-სპილენძისა, რომელიც დიდი რაოდენობით იხმარება ტეხნიკაში, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სპილენძის მადანი მეტად საჭირო და აუცილებელია ქიმიურ ნივთიერებათა დასამზადებლად, რომელთა შორის გოგირდ-მჟავა სპილენძი უმთავრეს როლს თამაშობს. ის იხმარება არა მარტო ქიმიურ წარმოებაში, არამედ აგრეთვე (დიდძალი რაოდენობით), ვენახის მავნებლების: ფილოქსერის, სოკოებისა და სხვების წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამისა, როგორც ლითონის სპილენძი, ისე მისი შემადგენლობა (რომელსაც ეწოდება „ქიმიურ[ი] მარილები") იხმარება სამხედ[რო] ქიმიაში.

სპილენძის მარაგი საქართვე[ლოს] მაღაროებში იმდენა[დ] ბევრია, რომ თავის მრეწვე[ლობის] კარგად განვითარებ[ის] შემდეგაც საქართველოს შე[უ]ძლია გაიტანოს და გაჰყიდ[ოს] საზღვარ გარედ სპილენძის ნ[ედ]ლი მასალის ზედმეტი მარაგ[ი].

### ქვანახშირი.

არა ნაკლები მნიშვნელობ[ი]საა აგრეთვე ქვანახშირიც. ი[ს] უნდა ჩაითვალოს არა მარტ[ო] როგორც სათბობი მასალა, არ[ა]მედ უმთავრესად, როგორც ქ[ი]მიური ნედლი მასალა, რომელ[ი]საც დიდი სამხედრო მნიშვნ[ე]ლობა აქვს. ერთგვარ აპარატ[ე]ბში ქვანახშირის გახურებ[ით] ღებულობენ ეგრედ წოდებუ[ლ] „ქვანახშირის ფისს", ხოლო [ამ] ფისიდან მზადდება მეტად მნ[ი]შვნელოვანი ამაფეთქებელი ნ[ი]ვთიერებანი, საბრძოლო მხ[ე]თარი, მომწამვლელი და სხ[ვა] გაზები.

„ქვანახშირის ფისიდან" ა[მ]ზადებენ აგრეთვე წამალსა დ[ა] საღებავებს.

ქვანახშირი დიდძალი რაო[]დენობით მოიპოვება ტყვიბუ[]ლის, ტყვარჩელის მადნებში [და] სხვაგან.

### საქართველოს სხვა ბუნებრი[ვი] სიმდიდრეების შესახებ.

ქიმიურ ნედლი მასალის უმ[]თავრეს სახეებს გარდა, საჭ[ი]როა აღვნიშნოთ, რომ ბამბ[ა] კანაფი, ტყის ჯიშები და სხვ[ა] რომლებიც იზრდება საქართვე[]ლოში,—ყველა ესენი მეტა[დ] დიდ მნიშვნელოვან ქიმიურ ნე[]დლ მასალას წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ „თეთრი ნა[]ხშირის" გამოყენების სარგებ[]ლობას (წყლის ენერგია), ად[ვ]ვილად შეგვიძლია წარმოვიდ[]გინოთ—რამდენად განვითარ[]დება საქართველოში ქიმიურ[ი] მრეწველობა, რომელზედაც და[]მოკიდებულია ქვეყნის კეთილ[]დღეობა და ძლიერება.

ლ. ვორონოვი.

# მე-2 ქართულ დივიზიის პარტკომისიის მუშაობიდან.

ტერიტორიალურ დივიზიის პარტკომისიას მეტად თავისებური პირობებში უხდება მუშაობა. დივიზიის ნაწილების დაქსაქსვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, წერტების დაშორება და ნაწილების თავისებური პირობები—ყოველივე ეს ჰქმნის მთელ რიგ დაბრკოლებებს ძირითად პარტორგანიზაციებთან ცოცხალ კავშირის განმტკიცების საქმეში.

ამ ჟამად ეს კავშირი ხორციელდება შემდეგი გზით: ლეგიონების პარტბიუროებიდან არიან გამოყოფილი პარტკომისიის შემადგენლობაში მტკიცე და გამობრძმედილი პარტ-ამხანაგები, რომელთაც პარტკომისია ავალებს აწარმოონ თავის ნაწილის პარტორგანიზაციებში — პარტაღმზრდელობითი მუშაობა, პარტიის თვითეულ წევრის აქტივობის გამომჟღავნება და ამავე დროს ყოველმხრივი შესწავლა ნაწილის პარტაპარატისა.

ასეთ ხასიათის მუშაობის შესახებ—ადგილებიდან წერილობითი ინფორმაცია შემოდის პარტკომისიაში, რომელსაც უკანასკნელი სათანადო ყურადღებას აქცევს—პარტიული მუშაობის საერთო ხაზის გასამართავად.

წერტების ცენტრიდან დაშორება და განცალკევება ისეთ განწყობილებას ჰქმნის ზოგ შემთხვევებში პარტიის წევრებს შორის, რომ ზოგი მათგანი ადვილად ვარდება წვრილ ბურჟუაზიულ ატმოსფერის გავლენის ქვეშ. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ პარტკომისია აწარმოებს ბრძოლას პარტიის წევრების ასეთი არა ნორმალურ გადახრების წინააღმდეგ. კერძოთ ამ მიმართულებით მუშაობა დაკავშირებულია ადგილობრივ სამოქალაქო პარტორგანიზაციების მუშაობასთან, რის გამო პარტკომისიის სხდომებზე ნაწილებში მონაწილეობას ღებულობენ აღნიშნულ ორგანიზაციების წარმომადგენლები და აგრეთვე ადგილებიდან ამორჩეული საქ. კომპარტიის საკონტროლო კომისიის წევრები.

საქმეების გასარჩევად ადგილებზე წასვლა და ადგილობრივად საქმეების გარჩევა ამყარებს ნაწილების ძირითად პარტორგანიზაციებთან ცოცხალ კავშირს.

1925 წლის 1 იანვარს დივიზიის პარტიული ორგანიზაცია შესდგებოდა სოციალურ მდგომარეობის მიხედვით 22,5 პროც. მუშებისგან, 61 პროც. გლეხებისგან და 17,5 პროც. კი მოსამსახურეებისგან. პარტიის წევრთა რაოდენობა უდრიდა 76 პროც., კანდიდატების კი—24 პროც.

იმისათვის რომ პარტიის ზრდა სწორ კალაპოტში ჩამდგარიყო პარტკომისიას თავიდანვე ქონდა აღებული სწორი გეზი, რომელიც გამოიხატებოდა განსაკუთრებით რიგის წით-არმიელების—მუშების და გლეხების—პარტიაში ჩათრევით.

თუ ჩვენ გავუკეთებთ ჯამს და გავითვალისწინებთ რვა თვის მუშაობის ნაყოფიერებას, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ პარტკომისიის მიერ აღებული ეს ხაზი სისწორით იქნა ცხოვრებაში გატარებული.

ამას ამოწმებს შემდეგი სტატისტიკური ცნობები—1924 წლის 1 ოქტომბრიდან—1925 წლ.—1 მაისამდე მიღებული იქნა პარტიაში მუშები—4 პროც., გლეხები—81,5 პროც. და მოსამსახურეები—14,5 პროც. ამასთანავე გლეხების რიცხვი თანდათანობით გაიზარდა, მოსამსახურეების რიცხვმა კი თანდათანობით იკლო. იმ დროს, როდესაც 1924 წლის უკანასკნელ მესამედში პარტიაში იქნა მიღებული გლეხები—79 პროც. და მოსამსახურეები—17 პროც., 1925 წლის პირველ მესამედში მიღებულ გლეხების რიცხვი უდრის—84,5 პროც., და მოსამსახურეების კი მხოლოდ 12 პროც.

მიღებულ მუშების რიცხვი ძლიერ მცირეა, მხოლოდ ეს აიხსნება იმით, რომ წითელ-არმიის რიგების შევსება ჩვენ დივიზიაში მუშურ ელემენტებისაგან უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენს.

დივიზიის პარტორგანიზაციის ზრდა იმ ფაქტსაც ნათელყოფს, რომ პარტიაში მიღებულთა ცნობების მიხედვით, პარტორგანიზაციის შემადგენლობა თანდათანობით ძლიერდება რიგის წითელ-არმიელებით გლეხური მასიდან. ასე მაგალითად 1924 წ. 1 ოქტომბრიდან 1925 წ. 1 მაისამდე პარტიაში იქნა მიღებული უფშემადგენლობიდან 20,4 პროც., პოლიტშემადგენლობიდან 13,6 პროც. და წითელ-არმიელებიდან— 66 პრ.; ამ შემთხვევაშიც პარტიაში შესულ წითელ-არმიელთა რიცხვი თანდათან მატულობს წარსულთან შედარებით. პირველად (1924 წლის 1 ოქტომბრ.—1925 წ. 1 იანვრამდე) პარტიაში მიღებული იქნა რიგის წითელ-არმიელები 63 პროც., შემდეგ პერიოდში (1925 წლის პირველ მესამედში) ეს რიცხვი გაიზარდა 68,4 პროცენტამდე.

სულ სხვა სურათი გადაიშლება ჩვენ თვალწინ, როდესაც გადავხედავთ პარტიის წევრთა და კანდიდატთა რიცხვობრივ მიმართებას. პარტიის კანდიდატთა რიცხვი ზრდის პროცესშია. 1925 წ. 1 იანვარს კანდიდატების რიცხვი უდრიდა 24 პროც. მთელ პარტორგანიზაციის შემადგენლობასთან შედარებით, იმავე წლის 1 აპრილს კი ის უკვე აღწევს 41 პრ.

ამისათვის კანდიდატთა შორის პარტაღმზრდელობითი მუშაობის და მათი პარტიის წევრად გადაყვანის საკითხი მთელი თავისი სიგრძე სიგანით წამოიჭრა პარტკომისიის წინაშე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პარტკომისიის მთელი მუშაობის გულისყური ამ მიმართულებით წარიმართა.

(დასასრული იქნება)

ი. რუდომსკი.

# უცხოეთის არმიებში.

## რუმინეთში.

### შიმშილი არმიაში.

რუმინეთის სამხედრო სამინისტრომ აცნობა ყველა სამხედრო ნაწილებს, რომ პირველი მაისიდან ჯარისკაცის დღიური კმაყოფისათვის წესდება 15 ლეი (15 კაპიკამდე). მრავალი გაზეთები პროტესტით შეხვდენ კმაყოფისათვის ამ უმნიშვნელო გაღებულ თანხას, რომელიც შიმშილით სიკვდილს უქადის მათ.

მართლაც: მარტო სამხედრო პურის საცხობი დაიკავებს დღიურად პურში 10 ლეის (10 კაპიკამდე). დანარჩენი თანხიდან ჯარისკაცმა შაქარში უნდა გადაიხადოს 90 ბანი და 10 ბანი საპონში დღიურად, ხოლო დანარჩენი 4 ლეით ჯარისკაცს არ შეუძლია თავის გამოკვება.

მრავალ სამხედრო ნაწილებმა, განსაკუთრებით ბუკოვინაში მოთავსებულებმა შუამდგომლობა აღძრეს ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფალთა წინაშე, გადასცენ მათ დასამუშავებლად—ბოსტნების მოსაწყობათ მიწის განსაზღვრული ნაწილი. „ნატურალურ მეურნეობაზე" ასეთი გადასვლა რუმინეთის არმიისათვის უჩვეულო და სრულიად ახალია. უფრო ცუდ მდგომარეობაშია ცხენების კმაყოფის საქმე არტილერიასა და კავალერიაში, რადგანაც სრულიად არ მოეპოვებათ ქერი და თივა, ფურაჟის სახე შეცვლილია სიმინდის კაკალით სამი კილოგრამის რაოდენობით დღიურად. ამ უკანასკნელ ხანებში დუნაიის ნავთსადგურებში ავსტრალიიდან შამოდის არმიისათვის ქბილ[ი] და ფურაჟი, რადგანაც მათ[ი] დამზადება ამ ჟამად რუმინეთში მეტის-მეტად გაძნელებულია.

### ახალი უძლიერესი ჰურვი.

შეფილდში (ინგლისი) 16 დიუმიანი ზარბაზნისათვის დაამზადეს სრულიად ახალი თვისების ჰურვი, რომელიც ხასიათდება ჯავშანის გამგლეჯი კოლოსალური ძალით. ჰურვის დამზადების დაწვრილებითი ცნობები და მისი გამოცდის შედეგები ინახება სასტიკი საიდუმლოებით, მაგრამ ცნობილია, რომ ამ ჰურვის მოხმარების დროს მიღებული შედეგები სრულიად თავისებურია თავისი გამანადგურებელი თვისებით.

### ნიუ-იორკის აგეგმვა მაღლიდან.

ჰაეროპლანიდან კარტოგრაფიული აგეგმამ ამ ჟამად თითქმის ერთბაშად დაიკავა ინსტრუმენტალური აგეგმის ადგილი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ზოგიერთ ქალაქებმა მფრინავ კარტოგრაფებს მიანდვეს ქალაქების გეგმის შედგენა.

# მომავალი ტერ-შეკრებისათვის.

გ. როგორ უნდა დაიწყოს ახალწვეულებთან სროლის სწავლება.

საბრძოლო ვაზნით საჩვენებელი სროლის შემდეგ უნდა გადაიტანო საუბარი ძირითად საკითხზე: როგორ წარმოიშვა გასროლა? მოკარნახე კითხვების მიცემით არ იქნება ძნელი პასუხის მიღება: გასროლა წარმოიშვა იმიტომ, რომ შაშხანში ჩადებული იყო დენთით გატენილი ვაზნა და სხვა. აქედან უნდა დაიწყო და გააცნო ახალწვეულებს ვაზნისა და შაშხანის აგებულობა. აქ საჭიროა ხელთ გქონდეთ გაჭრილი ვაზნა.

როცა ვაზნა გარჩეულ იქნება და მეომრები შეისწავლიან რამოდენიმედ მის შემადგენელ ნაწილებს, უნდა დაუსვა შემდეგი კითხვა: როგორ წარმოიშვა გასროლა? და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბევრი აღმოჩნდება ახალწვეულებში ისეთები, რომლებიც მაშინვე დაუწყებენ სინჯვას შაშხანის სავაზნეს რათა ნახონ თუ რამ აფეთქა ფისტონა. აქ მეთაურმა უნდა მიიყვანოს მოკარნახე მითითებით მეომართა აზრი იქამდე, რომ ფისტონა გახეთქილ იქნა (შეიძლება დაუშვათ) საკეტით. ხოლო როცა მოინდომებენ საკეტის გასინჯვას, ინსტრუქტორმა უნდა გამოიღოს ეს საკეტი და კარგად დაათვალიერებინოს თვითეულ მეომარს. ბევრი მაშინვე აღმოაჩენს საკეტის თავზე თასაში ნახვრეტს, რომელშიც გამოდის საცემელა და აფეთქებს ფისტონას.

თუ ამ წესით ჩავატარებთ პირველ მეცადინეობას, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ყველა მეომრები ადრე დაინტერესდებიან სროლით და იარაღის შესწავლით. ხოლო ამით გაკეთებულ იქნება თითქმის საქმის მთელი ნახევარი.

ყაზარმაში ახლად მოსულ წითელ-არმიელისადმი გამოცდილებით მიდგომისაგან დამოკიდებულია მთელი მეცადინეობის წარმატება, ხოლო ამიტომ მეთაურთა შემადგენლობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს სწავლების მეთოდიურ მხარეს.

ზედმეტი არ იქნება ყოველმა მეთაურმა თან იქონიოს არმიის გაზეთი, სადაც დაბეჭდილი იქნება ასეთი რჩევა-დარიგება სწავლების საქმეში.

ვ.

# სალამი 1902 წ. დაბადებულ ცვალებად შემადგენლობას!

ივნისის შუა რიცხვებში იწვევა 1902 წელში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის სამთვიანი შეკრება.

ამ ხნის განმავლობაში ცვალებადი შემადგენლობა გაეცნობა წითელ ყაზარმულ ცხოვრებას, შეიგნებს რევოლიუციონურ დისციპლინას და შეისწავლის ბრძოლისათვის საჭირო ცოდნას, რომელიც დასჭირდება ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავად,

დიდი ხანი არ არის, რაც ტერსისტემა შემოღებულ იქანა ჩვენს რესპუბლიკაში, „მაგრამ დღეს უკვე ტარდება მისი ძირითადი პრინციპი; აქ პირველად ხდება ცვალებად შემადგენლობის შეკრება, რომლის მიზანია წითელ მეომრების მომზადება თავის მეურნეობასთან მოუშორებლად, რასაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

ტერიტორიალური სისტემა საშვალებას აძლევს მშრომელ ახალგაზრდობას მოკლე ხნით შეისწავლოს სამხედრო-პოლიტიკური საქმე, აგრეთვე გაეცნობა წითელ ყაზარმაში ცხოვრებას და კვლავ მალე, დაუბრუნდეს თავისი მეურნეობას.

ტერიტორიალური სისტემის შემოღებით სახელმწიფოს ხარჯები უმოკლდება, რაიც ხელს უწყობს მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამიტომ ის ახალგაზრდობა, რომელიც პირველად გამოდის ტერსისტემის საფუძვლის ჩამყრელად, შეგნებულად უნდა შეხვდენ ამ დიად საქმეს და პირნათლად უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

გურიის მე-3-ე ათასეულის შემადგენლობის სახელით ვესალმები იმ მშრომელ ახალგაზრდობას, რომლებიც მოვლენ ტერ-ნაწილებში და უსურვებ —ის საპატიო სახელი წითელ-არმიელისა, რომელიც მიანიჭა მას საბჭოთა ხელისუფლებამ, დაიცვას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და ჩვენც—კადრის წითელ-არმიელები-მათთან ერთად ვიბრძოლებთ მშრომელ ხალხის კეთილ დღეობისათვის და დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

წით. არმ. ყულისკარელი.

# პარტიული ცხოვრება.

(1-ლი საარტილერიო ლეგიონის ცხოვრებიდან).

ჩვენი ნაწილის საბანაკოთ გასვლის დღიდანვე ამავე ნაწილების კომუჯრედები შეუდგენ მუშაობის გაცხოველებას.

26 მაისს მოწვეულ იქნა მე-IV-ე საგაუბიცო ბატარეიას კომუჯრედის მორიგი კრება, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად განსახილველი იყო მე-XIV-ე პარტ-კონფერენციის ანგარიშები.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა პოლიტხელმა ამხ. ხუჭუამ, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ კონფერენციის მუშაობა და მთავარი საკითხები ამ კონფერენციაზე, მან ამასთანავე ერთად აღნიშნა კონფერენციის მიერ გამოტანილი მთავარი დადგენილება. მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვები, რის შემდეგ კრების მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ ხსენებული ნაწილის კომუჯრედი ყოველ ღონეს იხმარს გადაუხრელად გაატაროს ცხოვრებაში ყველა ეს დადგენილება.

ამავე კრებაზე მეორე საკითხი იყო: კომუჯრედის როლი ლენინის კუთხის მუშაობაში. ამხ. ხუჭუამ განუმარტა დამსწრეთ, თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოოს უჯრედის თითეულმა წევრმა, რომ დადგეს ლენინის კუთხის მუშაობა თავის დონეზე და ჩაბმულ იქნას მის მუშაობაშიც უპარტიო წითელ არმიელები და მეთაურები. ამ საკითხის გარშემო შეკითხვების შემდეგ, კრებამ განიხილა მუხლობრივ—წასული კრების ოქმი.

პარტკორი: სტურუა.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ვაზიანში.

(დასასრული)

გაგრძელდა საუბარი.

—აჯანყ ბულებს რატომ დანარჩენი ხალხი არ ეხმარება?

— მისთვის არის ნათქვამი „მშრომელებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“-

მაგრამ ჯერ სად არის ეს საქმე?

ხომ იცით, ბიჭებო, ჩინეთის და ინდოეთის საქმე იქაც ასეთი ეშმაკობა ჩაუდენია ბურჟუებს, ძნელია იმათ კლანჭებიდან თავის გამოხსნა.

მაგრამ მალე შეკავშირდებიან ყველა დაჩაგრულები და ფრანგებს და ინგლისელებს კუდამოძუებულს გამოისტუმრებენ.

აკი გაისტუმრეს კიდეც! წითელი არმია რომ ბაქოში შევიდა ინგლისელებს ბათუმში ციებცხელება აუტყდათ და გაიპარენ.

ყველა ქვეყნის მშრომელებს უნდა ჰყავდეს წითელი არმია.

ერთმა განმარტა.

— ჩვენ ყველა ქვეყნის მშრომელთა არმია ვართ! და ვიქნებით!

ასე კამათობენ, ბჭობენ და ბაასობენ მშრომელთა შვილები.

მე ვიმედოვნებ.

ჩემო საყვარელო ამხანაგებო!

როგორც აქ ამ აზიის დასავლეთ ნაწილში, მოგიყრიათ თავი და ხართ ერთგული მშრომელთა გაერთიანებისა, სწავლობთ, მეცადინეობთ მშრომელთა ინტერესებისათვის, ისე მთელ მსოფლიოს მშრომელთა და კერძოთ დამონებულ აფრიკის მშრომელთა გულშიაც აღინთება ცეცხლი.

ცეცხლი! ძველი ქვეყნის ამომბუგვის და ახალი ცხოვრების გამომჭედი.

მაშინ!!

ვეღარ დაიხსნის ბურჟუას მის მიერ შესყიდულ მეცნიერთა გამოგონებანი და „შავ მუსკულებში გაელვებული ლურჯი ბებუთი“ წითლად შეღებავს ევროპის ბურჟუებთ საბუდარს.

ამისთვის საჭიროა!

ანდერძის შესრულება დიდი ბელადის:

„კავშირი მუშებს და გლეხების შორის“.

მაშ! ყველამ თავის საქმისკენ!!

მაშ! არტ-ლეგიონის პოლიტ-მომუშავენო კავშირი გლეხობასთან!! მჭიდროთ!!!

ამითაც ავასრულებთ ლენინის ანდერძს.

წ. არმ. თქვენი ერდგული.

# დაახლოების და მჭიდრო კავშირის საზეიმო მიტინგი.

მე-4-ე ლეგიონი.

ორი კვირა სრულდება, რაც ქალ. №-ში ჩამოვიდა საბანაკოთ 1-ლ კავკასიის მსრ. დივიზიის პირველი და მესამე ლეგიონი. ამხანაგები დიდხანს მოუნდენ ბანაკის მოწყობას, რამაც ხელი შეუშალა ადრევე ჩვენს ერთმანეთთან დაახლოებას.

31 მაისს ჩვენს ლეგიონში, შეიქნა წითელ-არმიელთა შორის ფუსფუსი; ზოგი ამზადებს მისასალმებელ სიტყვებს, ზოგი ასუფთავებს ყაზარმის ეზოს და ქუჩებს. ლენ-ოთახში ემზადება მომღერალთა გუნდი, მესაკრავეებიც გაფაციცებით ემზადებიან შესახვედრათ.

თვით ქალაქსაც დაეტყო ცვლილება; სამოქალაქო დაწესებულებებმა და მუშათა ორგანიზაციებმაც მოიყარეს თავი ცალ ცალკე და ყველანი გაეშურენ ქალაქის ბაღში, სადაც უნდა მომხდარიყო მუშების, გლეხების, ქართულ და რუსულ ნაწილის წითელი ლაშქრის ერთმანეთისადმი დაახლოება და მჭიდრო კავშირის დაჭერა.

ნაშუადღევის 3 საათზე ბაღი ძლივს იტევდა აუარება ხალხს.

საკუთარი მუსიკით ცალ ცალკე შემოდიან ყველა ლეგიონები; პირველად შემოვიდა პირველი ლეგიონი, შემდეგ მე-3 ე და ბოლოს მე-4-ე ქართ. ლეგიონი.

წითელ ლაშქრელებს დიდი ოვაციებით ეგებებოდენ მუშები და გლეხები.

გაიმართა საზეიმო მიტინგი; ორატორების რიცხვს არ ჰქონდა დასასრული. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ: სამაზრო აღმასკომის, პარტკომის, ახ. კომკავშირის, საკონსერვო ქარხნის მუშების, რკინის გზის მუშების, განათლების მუშაკების, ნორჩ პიონერების და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები. შემდეგ ილაპარაკეს წითელი ჯარიდან.

ყველა ორატორები თავიანთ სიტყვაში ხაზს უსვამდენ წითელ-არმიელთა და სოფლის დაახლოვების მნიშვნელობას. საზეიმო მიტინგის შემდეგ გაიმართა ცალ ცალკე ბაასი და ცეკვა თამაში წითელ-არმიელთა და მუშებსა და გლეხებს შორის. ლეგიონების ორკესტრებმა მოახდინეს შეჯიბრი; გაიმარჯვა 1-ლ კავკას. მსრ. დივიზიის მე-3-ე ლეგიონის ორკესტრმა. აუარება ზღვა ხალხის „ვაშა“-ს და „ურა“-ს ძახილს საზღვარი არ ქონდა. საღამოს შვიდ საათზე საზეიმო მიტინგი დაიშალა.

8 ნახ. საათიდან ნაჩვენები იქნა უფასო კინო სურათები.

ასე ჩაიარა დაახლოვების და მჭიდრო კავშირის დაჭერის მიზნით გამართულმა საზეიმო მიტინგმა ჩვენთან.

სამხკორი ჯღანკი.

# ცვალებად შემადგენლობის კონფერენცია.

ქ. ცაგერში მეხუთე ლეგიონის მესამე ასეულმა 10 აპრილს მოიწვია ხსენებული ასეულის ცვალებად შემადგენლობის პარტიისა და კომკავშირის წევრთა კონფერენცია.

კონფერენციას ხელმძღვანელობდა ასეულის კომუჯრედი, რომელსაც მიზნად ქონდა დასახული ადგილებიდან მოხსენებების საშუალებით გაცნობა სოფლის ყოფა-ცხოვრებას და გაება მჭიდრო კავშირი ასეულისა და ცვალებად შემადგენლობის პარტ და კომკავშირის წევრთა შორის.

კონფერენციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ ადგ. პარტ-ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჰოხონელიძემ, რომელიც შეეხო ცვალებად შემადგენლობის პარტიისა და კომკავშირის წევრთა მოვალეობას და მათ მუშაობას სოფლად. აღნიშნა აგრეთვე, თუ როგორი კავშირი უნდა დამყარდეს ცვალებად შემადგენლობასა და ასეულს შორის.

კონფერენციის მეორე საკითხი იყო: მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენება გააკეთეს ყველა დელეგატებმა —ცვალებად შემადგენლობის კომპარტიისა და კომკავშირის წევრებმა, რომლებმაც თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობა, საბჭოთა ორგანოების მუშაობა, სწავლა-განათლების საქმე და სხვა.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ცვალებადი შემადგენლობა ჩაბმულია საბჭოების, გლეხკომებისა და სოფლის საერთო მუშაობაში.

კონფერენციის ბოლოს არჩეულ იქნა ტერკორები, რომელთაც დაევალათ წერილების წერა ასეულის კედლისა და დივიზიების ყოველდღიურ გაზეთებში.

მ. ყურაშვილი.

# ახლებმა იმედები გაამართლეს.

საარტილერიო ლეგ. სკოლა.

პირველი საარტილერიო ლეგიონის სკოლაში მეცადინეობას სისტემატიური ხასიათი აქვს. ხშირად გვიხდება თეორიულ მეცადინეობის გვერდით პრაქტიკული ვარჯიშობის შესრულებაც- გავდივართ სროლაზე. 25 მაისს სროლაზე გასვლა მოგვიხდა სკოლის კურსანტების ერთ ნაწილს. ვარჯიშობას—სროლას ვაწარმოებდით სამთო-ქვემეხებით. თვალმადევნი პუნქტი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ჩვენთან იყვენ აგრეთვე ახალი წითელი მეთაურები—გოგნიაშვილი და დეკანოსიძე. ამხანაგები სწრაფად, გასაოცარი სისწორით ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას, რაც დაამტკიცა მიზანის პირველ გასროლაზედვე დაზიანებამ.

ასეთი დახელოვნებული ამხანაგებით ბევრი რამის გაკეთება შეგვეძლება. უსურვებთ მათ უფრო მეტ ენერგიას, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

სამხკორი ბაშელი.

# ბრძანებას შესრულება უნდა!

(მე-6 სე ტერ ლეგიონი.)

ამ უკანასკნელ დროს სამხედრო ნაწილებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაწესებული ფორმის ტარების აუცილებლობას, როგორც წითელ-არმიელთა, ისე უფ-პოლიტ-შემადგენლობის მიერ.

ამის შესახებ არა ერთხელ იყო ბრძანება გაცემული, როგორც გარნიზონის უფროსის, ისე ჩვენი ლეგიონის თავის და სამხკომის მიერ მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები, განსაკუთრებით პოლიტ-შემადგენლობა, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებას და განაგრძნობენ სამსახურში გამოცხადებას სამხედრო ფორმის გარეშე.

ამას წინათ ჩვენი ლეგიონის ცხოვრების სინამდვილეში ადგილი ჰქონდა ერთ არა ხასურველ მოვლენას, რომელიც მიეწერება უფ-პოლიტ-შემადგენლობის მიერ სამხედრო ფორმის არ ტარებას: ერთ-ერთი წითელ მოლაშქრემ ისეთი სიტყვებით მიმართა ათასეულის თავს, რომ უკანასკნელი იძულებული შეიქმნა დაეტუსაღებინა ის და ამის შესახებ მოეხსენებინა ლეგიონის თავისათვის. კვლევა-ძიების დროს გამოირკვა, რომ წ. მოლაშქრეს ვერ ეცნო ათასეულის თავი, რადგან მისი ტანისამოსი არაფრით არ განსხვავდებოდა წით. მოლაშქრის ფორმისაგან, რის გამოც წითელი-არმიელი განთავისუფლებული იქნა სასჯელისაგან.

მომავალში კი ასეთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს უფ-პოლიტ-შემადგენლობამ სამსახურში და მის გარეშე ატაროს დაწესებული სამხედრო ფორმა.

ამხ. ლეგთავო და სამხკომო!

მიიღეთ შესაფერისი ზომები თქვენი გაცემული ბრძანების ცხოვრებაში გასატარებლათ, რითაც ბოლოს მოუღებთ ყოველგვარ გაუგებრობას ნაწილში.

სამხკორი: ანი.

## ნეტავ ვის უცდიან!

ამ ერთი თვით ადრე ჩატარდა ორი კონფერენცია: ერთი ქ. თბილისში მდგომ ნაწილების უპარტიო წითელ არმიელთა და მეორე კი ქართ. წ. ლაშქრის სამხედრო კოოპერატივის.

ორივე კონფერენციებზე გაგზავნილი გვყავდა დელეგატები ჩვენი საარტილერიო ლეგიონის წითელ არმიელებისაგან.

გადის აგერ თვეზე მეტი და ამ კონფერენციის შედეგებზე ჩვენთან ჩვენ მიერ გაგზავნილი დელეგატები მოხსენებას არ აკეთებენ. არტ-ლეგიონის წითელ არმიელები ყოველ დღე მოველით მათ მოხსენებას კონფერენციის მუშაობაზე. მაგრამ დღემდე ჩვენი მოლოდინი მოლოდინათ რჩება.

ჩვენ მიერ არჩეული და კონფერენციაზე გაგზავნილი დელეგატები ასე არ უნდა იქცეოდენ. ჩვენც გვინდა გავიგოთ ხემოხსენებული კონფერენციის მუშაობა და მისი დადგენილებები.

დელეგატებო! ვიღას უცდით!

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## არ დავივიწყოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა.

უკვე ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოგვიწვიეს სამხედრო ბეგარის მოსახდელად წითელი არმიის ნაწილებში და ჩაგვრიცხეს ქ. მ. მეხუთე ლეგიონში. ჩვენს შორის მაშინ ბევრი იყო წერა-კითხვის სრულიად არა მცოდნენი.

ნაწილში მოსვლისთანავე ჩვენ შეუდექით ბეჯით მეცადინეობას ყოველ დარგში. ერთი წლის განმავლობაში წითელ ყაზარმაში კარგათ შევისწავლეთ წერა-კითხვა ჩვენს მშობლიურ ენაზე, შევიძინეთ პოლიტიკური და სამხედრო ცოდნა და სხ.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს ნაწილში დაიწყო შვებულებების მიცემა. ყველა წითელ არმიელს ეძლევა 10 დღის შვებულება, მხოლოთ პირველ რიგში ისეთებს უშვებენ, რომლების მდგომარეობა უფრო ცუდია.

საჭირო იქნება შვებულებაში წასულ წითელ არმიელებმა ამ ათი დღის შვებულების დროს გააცნონ თავიანთი გლეხობა და მუშები წითელი არმიის აღმშენებლობას, საერთაშორისო მდგომარეობას და სხ. სოფელში წასული წითელი არმიელები გაამართლებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

სამხკორი: ვ—ა.

## მოგვეცით სამხედრო წესდებები ქართულად.

1-ლ ლეგიონის უნცრ. მეთაურთა სკოლა.

ჩვენი სკოლა მეხუთე თვეა რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მართალია მეცადინეობა არ შეწყვეტილა და სისტემატიურად მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთი დაბრკოლებანი რომ არ გვეღობებოდეს წინ, ჩვენი საქმიანობა უფრო ჩქარი ტემპის და ნაყოფიერი იქნებოდა. კიდევ მეთაურების ენერგიულ შრომას უნდა მიეწეროს თუ აქამდე რაიმე გაგვიკეთებია. საქმე იმაშია, რომ თითქმის მთელი კურსანტებისათვის გაუგებარია რუსული ენა. ყველა სამხედრო წესდებები კი რუსულად გვაქვს. მეცადინეობის დროს მისი თარგმნა მეთაურებისაგან ჯერ ერთი ძლიერ აჭიანურებს საქმეს და მერე არც ისე ადვილია კურსანტებისათვის ამ თარგმანით ხელმძღვანელობა. ერთი სიტყვით მეცადინეობა საგრძნობლად ფერხდება.

კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ჩვენს ასეთ მდგომარეობას ვისაც ეს შეეხება და იზრუნებდეს ჩვენთვის წესდების ქართულ ენაზე მოწოდებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცადინეობა ვერ გამოიღებს შესაფერ ნაყოფს.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ტრამვაი ტფილის-კოჯორს შორის

ტფილის-კოჯორს შორის ტრამვაის გასაყვანათ ტფ. ქალაქის აღმასკომში წარდგენილია განსახილველათ სამნაირი გეგმა.

პირველი გეგმით ტრამვაის ხაზი დაიწყება ორთაჭალიდან და აღმართებით გაემართება კოჯორის მიმართულებით. ამ გეგმის მიზანშეუწონლობა მდგომარეობს იმაში, რომ გზა გაივლის დაუსახლებელ ადგილებზე და მისი მუშაობა იწარმოებს მხოლოთ ზაფხულობით, რადგანაც ზამთრობით მგზავრები არ იქნებიან; გარდა ამისა ზოგან საჭირო გახდება აღმართებში კბილოვირ სისტემის რკინის გზის დაგება (ზუბჩატაია), რაიც გამოიწვევს შედარებით დიდ ხარჯებს. გზის სიგრძე ამ ვარიანტის იქნება მხოლოთ 12 ვერსი.

მეორე გეგმით, ტრამვაის ხაზი დაიწყება ვაკედან გაივლის დავითის მთის მიმართულებით და მიუახლოვდება სოფ. ოქრო ყანას, სადაც მოწყობილ იქნება სადგური. ოქრო ყანიდან გზა მოუხვევს წყნეთისაკენ და შემდეგ კოჯორის მიმართულებას მიიღებს. ხაზი იქნება 16 ვერსის სიგრძის.

მესამე გეგმით ტრამვაის ხაზი დაიწყება ვაკედანვე გაუვლის დავითის მთის ფერდობებს და შევა სოფელ წყნეთში, სადაც მოეწყობა სადგური. წყნეთიდან გზა მოუხვევს მდინარე ვერის მიმართულებით და ავა სოფ. კიკეთში. იქაც მოწყობილ იქნება სადგური. მე-15 ვერსზე გზა ავა კოჯორ-ტფილისის გზატკეცილის სიმაღლის დონეზე. კიკეთიდან გზა წავა მანგლისის მიმართულებით და იქედან შემოხვევით შემოვა კოჯორში.

ამრიგათ ამ გზას ექნება მრავალი უპირატესობანი: შესაძლებელი გახდება მისი შეერთება ზაჰესის ელექტრონულ რკინის გზასთან, რომლის აშენებაც გათვალისწინებულია ზაჰესის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. გზა გაივლის მრავალ დასახლებულ ადგილებზე და მოძრაობა იწარმოებს გამუდმებით ზამთარ-ზაფხულ და სხვა.

გზის სიგრძე ამ ვარიანტით უდრის 19 ვერსს. გარდა ამისა საშემდეგიოთ, ამ გეგმის ძალით, გაადვილებული იქნება გზის გაგრძელება მანგლისამდე.

აღნიშნულ გეგმებს აღმასკომი განიხილავს ამ დღეებში.

## ახალი ამბები.

— **უმუშევართა სახლი.** შრომის ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა თფ. აღმასკომის წინაშე უმუშევართა სახლის მოსაწყობათ შესაფერი შენობის დათმობის შესახებ.

— **უზრუნველყოფის კომისარიატმა** დაამტკიცა ინვალიდთა საწარმოო ნადი „რაჭა“. ნადს გახსნილი აქვს პურის საცხობი.

— **გლეხკომების გაზეთი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გლეხკომების ცენტრ. კომიტეტის კედლის გაზეთი „გლეხთა საურთიერთო დახმარება.“

— **ინვალიდების ბოსტანი.** მესამე საინვალიდო სახლის ბაღში სწარმოებს აგრონომიული მუშაობა, ინვალიდების ძალებით. ბაღის შემოსავალი მოხმარდება საინვალიდო სახლს.

— **ძვირფასი ჯიშის ხეების დაცვა.** მიწად მოქმ. კომისარიატის სატყეო განყოფილება იმუშავებს ძვირფასი ჯიშის ხეების დაცვის გეგმას.

— **მიმდინარე წლის** განმავლობაში სასოფლო სამეურნეო სკოლების შესანახათ მიწად-მოქმ. კომისარიატმა გადასდო 16. 560 მანეთი.

## რადიოს მოყვარულთა კუთხე.

**რადიო ავტომობილებზე.**

ამერიკასა და ინგლისში რადიო ტელეფონები გამოყენე-



ბული იქნა აგრეთვე საავტომობილო პრაქტიკაში.

პირველად მიმღებ-გადამცემი რადიო სადგურები დადგმული იქნენ პოლიციელების ავტომობილებზე, სადაც ანტენა დამაგრებული იყო ოთხ რკინის სვეტებზე. შემდეგ ამისა უკვე ასეთი რადიო სადგურები შემოღებული იქნენ ექსკურსანტებისა და ქალაქ გარეთ სამგზავრო ავტომობილებზედაც. ამნაირად ექსკურსიაში მონაწილეთათვის შესაძლებელი შეიქნა სადაც მოესურვებათ მგზავრობის დროს, იქ მოისმინონ რადიო კონცერტები.

უკანასკნელად მომხდარ არჩევნების დროს ინგლისში და ამერიკაში რადიო მიმღებით შეიარაღებული ავტომობილები მიდი-მოდიოდენ მიყრუებულ კუთხეებში, სადაც მოსახლეობას შეეძლო ცოცხალი მონაწილეობა მიელო არჩევნებში. ამომრჩევლები ავტომობილებზე მოთავსებული რადიო მიმღების საშუალებით ისმენდენ ორატორების სიტყვებს და სხვა.

რადიო მიმღები სადგურებს ამ უკანასკნელ ხანებში ათავსებენ აგრეთვე ცეცხლის მქრობელთა რაზმის ავტომობილებზე და მოტოციკლებზედაც კი.

მსხვილი საწარმოო კომპანიებიც იყენებენ რადიო ტელეფონებს მუშების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაყვანათ.

**იაფი რადიო-მიმღები სადგურები.**

ამ უკანასკნელ ხანებში მოსკოვის მრავალ დაწესებულებებმა გამოუშვეს იაფ ფასიანი რადიო სადგურები. ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუთთან არსებულ რადიო მოყვარულთა წრემ გამოუშვა პატარა დეტექტორიანი რადიო მიმღები აპარატები, რომლებსაც შეუძლიათ ცნობების მიღება 400-500 ვერსის მანძილიდან. სადგ[…] ღირს სულ 5 მანეთი.

**სახლების რადიოფიკაცი[…]**

ნიუ-იორკში (ამერიკა) […] ერ მოიკიდა ფეხი დიდი […] ლების რადიოფიკაციამ.

სახლის საერთო კომუტა[…]რი ერთდა იმავე დროს ღ[…]ლობს სხვა და სხვა გადმო[…]მებს (ანტენის ჩარჩოების […]ლის მიხედვით) და შეყავს […]ნაში, სადაც მოთავსებუ[…] ბგერების გამაძლიერებელი […]პორით. მთელი ეს მოწყ[…]ლობა ბინაში შესდგება შ[…] სელისა და მიწაში გადასაყვ[…] მავთულისაგან.

აბონენტები შეუკვეთენ […] მუტატორს ამა თუ იმ გად[…] ცემას და მექანიკოსიც იჭ[…] ამა თუ იმ სადგურს.

## სამხედრო ტრიბუნალი.

2 ივნისს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა ქართულ დივიზიონის ცენტრალურ კლუბის ექსპედიტორის კონსტანტინე გეორგის-ძის მეტოკსოპულოს საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ნაწილების გასაგზავნ გაზეთების მითვისება. სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი: 1923 წ. როდესაც მეტოკსოპულო მსახურობდა ქართულ დივიზიონის ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში ექსპედიტორად, ის სისტემატიურად ყიდდა გაზეთებს „წითელ არმიელს“, „კომუნისტს“ და სხვებს, რაშიდაც ბრალდებული გამოტყდა, რაც […]სთვის აუძულებია, მისი […] ტყვით, ოჯახის ცუდ ეკონ[…]მიურ მდგომარეობას და თ[…] თითქოს არ იცოდა თუ ეს მ[…] როტმოქმედებათ ჩაითვლებ[…]და. ტრიბუნალმა დამტკიცებ[…]ლათ სცნო მასზე წაყენებუ[…] ბრალდება და მიუსაჯა მას თ[…] ვისუფლების აღკვეთა გამს[…]ლში მოთავსებით ერთი წლ[…] ვადით, მხოლოდ სრულიად […] ქართველოს ცაკის ა. წ. […] მარტიდან № 13 ამნისტიის თ[…] ნახმად თავისუფლების აღკვე[…] (1) ერთი წლის ვადით შე[…]ცირდა ნახევრად.

გნია.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ტრაქტორს.** თქვენი წერილი „აღმოფხვარით ქურდობ[…]“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ივ. ბარელაძეს.** „დაპირება ყინულზე იწერება“ წვრი[…]მანია, არ გამოგვადგა.

**ამხ. მატარებელს.** წერილი „სამნეო გუნდის ცხოვრების შ[…]სახებ „არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ა—ნს.** წერილი „უკმაყოფილებას დაბადებს ახალწვე[…]ლებში“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ლორთქიფანიძეს.** თქვენს წერილში „ჩვენი საქმიან[…]ბა ახკომკავშირელთა შორის“ არ არის აღნიშნული თ[…]რა პრაქტიკული ღონისძიებანი გამოიმუშავეთ კრებაზ[…] რაც აუცილებელია.

**ამხ. ამხ. მათრახს, ძირულელს და ყურაშვილს.** თქვე[…] წერილები „ეს დაუშვებელია“, „მადლობა ასეთ უფრო[…]“ და „ჩვენი მადლობა და სალამი“ გამოდგება კედლის გ[…]ზეთებისათვის.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** 1924 წლის მაისიდან მე ვმსახურებ 1-ლ ქ. დ. ცალკე საკავ. ასეულში წ. არმიელად. მყავს სარჩენად […] წლის დედა. მიჭირავს ბინა 21 კვად. არშინი. სახლის პა[…]რონი მთხოვს წყლის, ბინის და სინათლის ქირას იმდენ[…] რომლის გადახდა მე არ შემიძლია. გთხოვთ მიპასუხოთ რო[…]გორ მოვიქცე ამ შემთხვევაში და რამდენი მეკუთვნის გა[…]დახდა?

წ. არმ. მელიქა მაგიროვი.

**პასუხი.** 1) ბინის ქირა, თანახმად ბინის კანონისა თ[…]თო კვ. არშინზე გეკუთვნის 1 კ., თუ ოჯახი იმყოფება თქვე[…] ხარჯზე და არ აქვს სხვა შემოსავალი. 2) წყლის ფასი ერ[…] მეხუთედი კაპ. ვედროზე. 3) განათებისათვის 20 კაპ. კ[…]ლოვატზე ან 4 კაპ. სანთელზე თვეში. ოჯახს ეკუთვნის […] კილოვატი ანუ 25 სანთელი.

დრ. რედაქტორი მ. სიმონგულოვი.

ნ. დ. ს. ცა. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3.